



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31. 3122362001

თარიღი: 28/12/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N19

ქ. ლანჩხუთი

22. 12. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდლობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბეჟალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექო კირვალიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი. მან ასევე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და კოლეგებს გაწეული შრომისთვის, რის შედეგად მიღებული და გადაჭრილი იქნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ამიტომ გვლავ აქტიურად და შემართებით იმუშავენ, რათა უფრო ნაყოფიერი დარჩეს 2023 წელი. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შემოვიდა, განცხადებით, იმასთან დაკავშირებით, რომ გადადის ბოიკოტის რეჟიმში. გარდა ამისა, სხდომაზე სხვადასხვა საკითხებში სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით, ჩაწერილები არიან სოფელ აკეთის თემის მაცხოვრებლები თამაზ ღლონტი, ჯიმშერ გეგიძე და ქეთევან პატარაია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ერთი საკითხი:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, ამიტომ მე-3 საკითხზე მომხსენებელი იქნება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე. მან სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

6. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო კოლდინგისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის) ვასილ ჩიგოგიძის ბიუროსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნიშვილი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/

13. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დარბაზში მყოფთ მიულოცა დამდეგი შობა -ახალი წელი, უსურვა მშვიდობა და ყოველივე საუკეთესო. ამის შემდეგ სხდომას გააგნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2023-2026 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულია ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები და დ.ღ.გ -ს განაწილებით მისაღები შემოსავლის პროგნოზი 2023 წელს 11539,0 ათასი ლარი, 2024 წელს 11831,5 ათასი ლარი, 2025 წელს 12825,3 ათასი ლარი, 2026 წელს 13877,0 ათასი ლარი, სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2023 წელს განისაზღვრა 14851,5 ათასი ლარით; მათ შორის დ.ღ.გ 11539.0 ათასი ლარი რაც შემოსავლების 77,7 %-ს შეადგენს, ქონების გადასახადი 1200.0 ათასი ლარი, (8,0%-ი), სხვა შემოსავლების სახით განისაზღვრა 2002,0 ათასი ლარი (13.4 %- ი) და მიზნობრივი ტრანსფერი 380.0 ათასი ლარი (2.6 % ი).

2023 წლის ბიუჯეტით გადასახდელები შეადგენს 19757.7,0 ათას ლარს, აქედან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მიიმართება 5346.1 ათასი ლარი, თავდაცვის ღონისძიებებზე 185,5 ათასი ლარი, ეკონომიკური საქმიანობაზე 2713,1 ათასი ლარი, გარემოს დაცვისა ღონისძიებების დაფინანსებაზე 2299,0 ათასი ლარი, კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე 1649,8 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე 194,5 ათასი ლარი, დასვენება, კულტურა და რელიგიის დაფინანსებაზე 2963.6 ათასი ლარი, განათლების ღონისძიებებზე 3481.0 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის ღონისძიებებზე 3450.0 ათასი ლარი, სოციალური დაცვის ღონისძიებებზე 867,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის დავალიანების დაფარვაზე მიიმართება 58.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით 2023 წლისთვის განსაზღვრულია 4 342 900 ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო

ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა. პროგრამის ფარგლებში 2023 წლისთვის განსაზღვრულია 2 319 000 ლარი.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. ამ მიზნით 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 3 481 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება. პროგრამას 2023 წელში მოხმარდება 2 963 600 ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რისთვისაც 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 1 061 500 ლარი. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

სოციალური დაცვის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებს, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** პირველ რიგში დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციის „ღანჩხუთი საქართველოსთვის“ მიერ დაყენებული იქნა წინადადება ქალაქში საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების შესახებ. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, არის თუ არა საკითხი გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის

პრიორიტეტების დოკუმენტში, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განუმარტა, რომ ამ კუთხით ქალაქში სერიოზული პრობლემა ნამდვილად დგას, რის თაობაზეც შესაბამისი სტრუქტურებისთვის ინფორმაცია მიწოდებულია, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში საკითხი გათვლილი ვერ იქნება, რადგან იგი სახლმწიფო სტრუქტურის კომპეტენციაა. რაც შეეხება პირობითად, კანალიზაციის სისტემის მოწესრიგებას, ეს არის ინფრასტრუქტურული საკითხი, ხოლო ინფრასტრუქტურული განვითარება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებში პირველ ადგილზე დგას. ზოგადად, საკითხი გარკვეულწილად არის წყალმომარაგების მოწესრიგებასთან დაკავშირებული თემა. წყალმომარაგების სისტემის კეთილმოწყობის შემდეგ, რისთვისაც მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 36 მლნ. ლარი, დღის წესრიგში დადგება ცენტრალური კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება. მიმდინარეობს მუშაობა, რომ 2023-2024 წლებში დაიწყოს გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, თუკი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გუბერნიისადმი ან შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან იქნება მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა, როგორც ეს მოხდა გრიგოლეთში მოსაცდელის კეთილმოწყობასთან მიმართებაში, მაშინ საკითხი ნამდვილად დაიძვრება ადგილიდან.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (მაკა მშვიდლობაძე, ჯუმბერ ბლაგიძე) .

მიღებულ იქნა განკარგულება N64 (22.12.2022)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მისი განმარტებით, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 19757700 ლარით. წარმოდგენილი შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით პროექტში შევიდა გარკვეული ცვლილება. მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მუნიციპალური ტრანსპორტთან დაკავშირებით 2023 წელში გათვალისწინებულია 350000 ლარი. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და სავარაუდოდ, მომავალი წლის მარტის თვეში შეძენილი იქნება ხუთი ავტობუსი, რომელთაგან ორს შეისყიდის ფინანსთა სამინისტრო და გადმოსცემს მუნიციპალიტეტს. დანარჩენი სამი ავტობუსის ღირებულება არის 800000 ლარის ფარგლებში, რომლის 40 % - დაახლოებით 340 000 ლარს (ევროს კურსის გათვალისწინებით) მუნიციპალიტეტი გადაიხდის 2023 წელში, ხოლო დანარჩენ 60 %-ს, 2024 წელში. გარდა ამისა, სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით, მუშაობენ სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით, რადგან უნდა გაძლიერდეს შესაბამისი განყოფილება. ამასთან, თუკი ფუნქცია-მოვალეობას დაემატება პარკირების და სხვა საკითხების მოწესრიგება, არაა გამორიცხული, რომ იგი გამოეყოს როგორც ცალკე შ.პ.ს. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ არის, ჩამოყვანილი ყავდათ ექსპერტიზა სამხარაულის საექსპერტო ბიუროდან, რომელმაც შეაფასა ყოფილი ახალგაზრდული ცენტრის ტერიტორია. საბოლოოდ, მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად შეთანხმდნენ, რომ შეფასდება მისი დემონტაჟი და ნარჩენი მასალის გატანა მოხდება ბაკურის გზაზე. გარდა ამისა, ბიუჯეტში საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით შეტანილია ცვლილება და დამატებით 150000 ლარი ასევე მიიძღრება აღნიშნული გზის მოსაწესრიგებლად. გარდა ამისა, მომავალი წლის თებერვლის თვეში, მას შემდეგ, რაც გასუფთავდება აღნიშნული ტერიტორია, ბაზრის და ავტოსადგურის კეთილმოწყობის პროექტირებასთან დაკავშირებით გამოცხადდება ტენდერი. ასევე, იქმნება ახალი შ.პ.ს. - ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი, რომლის დებულების შემუშავებაზე იურისტები უკვე მუშაობენ.

ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 19 757 700 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები). მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 12739,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1444,0 თასი ლარით (12,8 %-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11539,0 ათასი ლარით. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19,0 %-ით (1429,0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1200,0 ათას ლარს. 2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 200 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 380,0 ათასი ლარით, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი (მიზნობრივი) 380,0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელევირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინანსებაზე. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 135 ათ ლარით გაიზარდა (55,1%-ით) .

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 110,0 ათასი ლარი. 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 42,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათასი ლარი; აღნიშნული შემოსავლები 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1850,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 25,0 % -ით. (2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვლილია 2022 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით).

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 110,5 ათასი ლარს. ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას

58,1 ათ.ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19757,7 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 5333,3 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 4342,9 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2590,0 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -160,3 ათასი ლარი;

გარე განათება - 769,5 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები-150,0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 23,1 ათ ლარი

საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 550,0 ათასი ლარი:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათ. ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2324.0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2049.2 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 249.8 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 3481,0 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 3450,0 ათასი ლარი;

განათლების ღონისძიებები - 31,0 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2963,6 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1355,4 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის,

მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1588,2 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდობის ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1061,5 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 194,5 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების შემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

სოციალური პროგრამები - 867,0 ათასი ლარი;

მმართველობა - 5589,7 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1278,1 ათასი ლარი;

მერია - 3746,1 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;

სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური-185,5 ათასი ლარი;

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათ ლარი.

მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ იმ შენიშვნებსა და წინადადებებზე, რომლებიც შესაბამისად, იქნა გათვალისწინებული. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტი რესურსებიდან გამომდინარე, არ იძლევა იმის საშუალებას, რათა ყველა მოთხოვნა იქნას დაკმაყოფილებული. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ხელფასებთან მიმართებაში თავდაპირველად მოწოდებული 200000 ლარი დამატებით გაიზარდა 300000 ლარით. რაც შეეხება

მუნიციპალურ ტრანსპორტს, ავტობარკის განახლება მნიშვნელოვანი პრობლემაა. მომავალი წლის თებერვლის თვეში შეძენილი იქნება ხუთი ავტობუსი. აქედან ორ ავტობუსს და ერთ ნაგავმზიდს შეისყიდის ფინანსთა სამინისტრო და გადმოსცემს მუნიციპალიტეტს. დანარჩენი სამი ავტობუსის ღირებულების 40 %-ს მუნიციპალიტეტი გადაიხდის 2023 წელში, ხოლო დანარჩენ 60 %-ს, 2024 წელში. გარდა ამისა, სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით, მუშაობენ სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით. ასევე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის სოფლებიდან ბავშვების ტრანსპორტირების თაობაზე მოხდა 10000 ლარის დამატება. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, იქმნება ახალი შ.პ.ს. - ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი, რომლის დაფინანსება განისაზღვრა 200000 ლარით. ასევე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წამოყენებული იქნა ინიციატივა ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირის დაფინანსების თაობაზე 20000 ლარის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის პოპულარიზაციას და განვითარებას. გარდა ამისა, მოხდება ყოფილი ახალგაზრდული ცენტრის ტერიტორიის შეფასება, საბოლოოდ, მისი დემონტაჟის შემდეგ ნარჩენი მასალის გატანა მოხდება ბაკურის გზაზე. გარდა ამისა, ბიუჯეტში საგზაო ინფრასტრუქტურის კუთხით შეტანილია ცვლილება და დამატებით 150000 ლარი ასევე მიიმართება აღნიშნული გზის მოსაწესრიგებლად. გარდა ამისა, მომავალი წლის თებერვლის თვეში, მას შემდეგ, რაც გასუფთავდება აღნიშნული ტერიტორია, ბაზრის და ავტოსადგურის კეთილმოწყობის პროექტირებასთან დაკავშირებით გამოცხადდება ტენდერი. ბიუჯეტის პროექტში ასევე გაწერილია ჩოლობარგში არსებული ქოხ-სამკითხველოს რეაბილიტაცია ავთენტურობის შენარჩუნების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით არ არის გათვლილი კაპიტალური ხარჯები, რომელიც რგფ-დან გამოიყოფა მომავალი წლის იანვრის თვიდან. ეს ფინანსები მოხმარდება გზების კაპიტალურ შეკეთებას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** ბაზართან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის შეძენის შემდეგ შეიძლება რომელიმე ბიზნესმენმა აუქციონის წესით გამოთქვას ინტერესი და უკვე მზა პროექტის მიხედვით განახორციელოს მისი რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ფინანსების დაზოგვას.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ჩატარდეს პირობიანი აუქციონი, სადაც შეთავაზებული იქნება პროექტი. შესაბამისად, ბაზრის მოვლა - პატრონობას განახორციელებს კერძო პირი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოიტანს გარკვეულ გადასახადს.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** დარბაზში მყოფთ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და აღნიშნა, რომ 2022 წელში ინფრასტრუქტურული და სოციალური კუთხით მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, რაც შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობის შედეგია, რისთვისაც მაღლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და კოლეგებს. მან იმედი გამოთქვა, რომ 2023 წელიც ასევე ნაყოფიერი იქნება. მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ერთობლივი ძალისხმევით და აქტიური მუშაობის შედეგად მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდება მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და აღნიშნა, რომ ფრაქციამ განიხილა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და სრული უმრავლესობით დაუჭირა მხარი, რადგან წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია შენიშვნების უმეტესობა. მათ შორის საბავშვო ბაღებში ხელფასების მატება, ბაკურის გზის რეაბილიტაცია, რის შესახებაც წლების განმავლობაში ყურადღებას ამახვილებდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი. ასევე, მუნიციპალური ტრანსპორტის მოგვარების მიზნით ხუთი ავტობუსის და ერთი ნაგავმზიდის შეძენა. გარდა ამისა, სოციალური კუთხით, PT კვლევის დაფინანსების 50 %-მდე გაზრდა, რაც ფრაქციის წევრის ელისო ჭიჭინაძის ინიციატივას წარმოადგენს. უმრავლესობის გუნდის წევრის, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** ინიციატივის

საფუძველზე მოხდება ჩოლობარგში არსებული ქოხ-სამკითხველოს რეაბილიტაცია ძველი იერ-სახის შენარჩუნებით. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი ცოცხალი ორგანიზმია და 2023 წლის განმავლობაში მრავალი ახალი პროექტი განხორციელდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესიდან და პრობლემიდან გამომდინარე. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ბიუჯეტის ასეთი პროექტის წარმოდგენისთვის და კოლეგებს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ აღნიშნულ პროექტს.

მუნიციპალიტეტის მერმა სუფსის სამუსიკო სკოლასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახურავის და იატაკის მასალა შეძენილია, მაგრამ შენობის აგარიული მდგომარეობიდან გამომდინარე, სკოლის რეაბილიტაცია აღარ შეიძლება, ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ აშენდეს ახალი შენობა, მანამდე კი დროებით გადავლენ შესაბამის შენობაში. ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიასთან დაკავშირებით შეთანხმება. ვარაუდობენ, რომ მომავალი წლის იანვრის თვეში მოხდება პროექტის შეძენა და აპრილის თვიდან დაიწყება მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია** შეუერთდა შობა-ახალი წლის მილოცვას და გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი წინა წლებთან შედარებით მეტ-ნაკლებად გენდერულია. საბჭო წლის განმავლობაში გააკეთებს კვლევას და ანალიზს იმის თაობაზე, თუ გარკვეული პროგრამები რამდენადაა ათვისებული თანაბრად როგორც ქალების, ასევე, მამაკაცების მიერ. გარდა ამისა, საბჭოს მიერ წარდგენილია რამდენიმე ინიციატივა, რომელთაგან უმეტესობა გათვალისწინებულია. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა ისეთი პროექტების შესახებ, როგორიცაა მუნიციპალური ტრანსპორტის, ბაკურის გზის რეაბილიტაციის და სხვადასხვა საკითხები, რაც იმედს იძლევა, რომ მომდევნო წლებშიც გაგრძელდება ისეთი დიდი და საოცარი პროექტების განხორციელება, რომლითაც ნამდვილად იამაყებენ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** თავის მხრივ აღნიშნა, რომ როგორც გასული წლის, ასევე მომავალი წლის ბიუჯეტი შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში სწორადაა დაბალანსებული, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და მის უფროსს, როლან ლაშხიას. აღნიშვნის ღირსია ის, რომ ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, რომელთა შესახებ ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რადგან მათი უმეტესობა წლების განმავლობაში მწვავე პრობლემას წარმოადგენდა.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** თავის მხრივ შეუერთდა მილოცვას და აღნიშნა, რომ საკრებულოს თითოეულმა წევრმა აქტიური მუშაობა გასწია ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. მათი მხრიდან წარმოდგენილი შენიშვნების და წინადადებების განხილვაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერი და ცდილობდა მაქსიმალურად ყოფილიყო ისინი გათვალისწინებული. ძალიან ბევრი კარგი პროგრამაა, რაც სოციალური კუთხით ნამდვილად წინსვლაა მუნიციპალიტეტისთვის. უშუალოდ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აქტიური მუშაობის შედეგად მიღებული იქნა PT კვლევის დაფინანსება, ასევე აღსანიშნავია ის, რომ მუნიციპალიტეტში გაიხსნა ჰემოდიალეზის მომსახურების ცენტრი. მისასალმებელია მუნიციპალური ტრანსპორტის მოწესრიგება, მაგრამ ამის პარალელურად უნდა გაკეთდეს მოსაცდელი ლესის ცენტრსა და ლანჩხუთში, ხოლო გრიგოლეთში დაწყებულია მოსაცდელის მოწყობა. საკრებულოს წევრმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისთვის.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 2 წევრი (მაკა მშვიდლობაძე, ჯუმბერ ბლაგიძე).

მიღებულ იქნა დადგენილება N37 (22.12.2022)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ**.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N65 (22.12.2022)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან აღნიშნა, რომ ზურაბ თავართქილაძეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, კოლეგები, მეგობრები იცნობდნენ როგორც თავმდაბალ, შრომისმოყვარე, თავისი საქმის პროფესიონალს. ის უპრეტენზიოდ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ადამიანურ თუ სამსახურებრივ მოვალეობებს. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის 1985 წლის 22 ნოემბერი, როდესაც მან, საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა მშობლიური ქალაქი და მისი მოსახლეობა კატასტროფისგან, მოახდინა რა, ყოფილი „ნევთობაზის“ ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის ლოკალიზება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ზურაბ თავართქილაძე იმსახურებს ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერს (ს/კ 27.06.52.008) მიენიჭოს მისი სახელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სკვერის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა (და არამარტო) მხარს უჭერს ამ ინიციატივას, რისი დასტურიც გახლავთ მათი ერთობლივი განცხადება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N66 (22.12.2022)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განმარტა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)
- გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 03)
- დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)
- ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)
- ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)
- ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07)
- თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)
- ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)
- კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. (პროგრამის კოდი 06 02 10)
- ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 11)
- მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)
- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 13)
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 14)
- პ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 16)
- ჟ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 17)
- რ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. (პროგრამის კოდი 06 02 18)
- ს) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 19)
- ტ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 20).
- უ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 21).
- ფ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 22).

ქ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 23).

ღ) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 25).

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს კომისიის ოქმის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N67 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის განაშენიანების გეგმა და მისი თანმდევი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია: ქალაქმშენებლობითი დონისძიებების გეგმა მთლიან გეგმარებით ერთეულზე და სანაპირო ზოლის განაშენიანების დეტალური გეგმები (სულ 17 სამეზობლოზე). საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებითა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების პოზიციების შეჯერების შედეგად, ინსტიტუტმა წარმოადგინა „კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის“ განაშენიანების გეგმის საბოლოო დაზუსტებული ვერსია და მისი თანმდევი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ თანახმად, განაშენიანების გეგმას ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ე“ პუნქტის თანახმად კი, საკრებულო სსენებულ უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით. ამასთანავე, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების გეგმის საბოლოო პროექტი მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

**მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N68 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით (კანცელარიის N 04-30223418-30; 30.11.2022 წელი) მომართა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ (ს/კ 402157330) დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლადო შელიამ, რომელმაც მისი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოჩხათში მდებარე შენობა-ნაგებობების პირველ სართულზე არსებული სამი ფართის (ს/კ 27.13.43.001.01.500 – 14,10 კვ.მ; ს/კ 27.13.43.001.01.502 – 14,88 კვ.მ; და ს/კ 27.13.43.001.01.504 – 22,81 კვ.მ; საერთო ფართობით - 51,79 კვ.მ;) სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“ (ს/კ 402157330), რომ დაწესებულებამ შესძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, კერძოდ „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ - „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N69 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ“ (ს/კ 233731478) - რომელმაც ა(ი)პის ადმინისტრაციული შენობის, ჩიბათისა და ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულში (სოფელ ქვიანში) ახალი ბიბლიოთეკების განთავსების მიზნით, ითხოვა მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების გადაცემა კერძოდ,

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3252 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით -2853,80 კვ.მ. (კულტურის ცენტრის შენობა ს/კ 27.06.56.016);

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.04.50.282.01.500; ფართი - 26,90 კვ.მ.);

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე, ჩიბათის ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 27.09.46.013.01.503) პირველ სართულზე მდებარე სამი ოთახი. საერთო ფართობი - 113,99 კვ.მ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, მისი არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული

უფლებამოსილების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრა ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N70 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის) ვასილ ჩიგოგიძის ბიუროსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ზუხუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში მერაბ კოსტავას ქუჩა N37- ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა - ნაგებობების მესამე სართულზე არსებული 2 ოთახი, საერთო ფართობი - 33,96 კვ. მ. (ს / კ 27.06.52.114)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, (პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით), სარგებლობის უფლებით გადასცეს გურიის მაჟორიტარი დეპუტატის (პარლამენტის წევრის), ვასილ ჩიგოგიძის ბიუროს, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრა ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N71 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ზუხუნაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა დაინტერესებულმა პირმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე

1808 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N 1 – 288,78კვ.მ; N 2- 53,07 კვ.მ. და N 3 – 26,49 კვ.მ. შენობა ნაგებობების (ს/კ 27.05.48.016) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოაცხადოს განსაზღვრული ვადით, სასყიდლიანი ელექტრონული აუქციონი, რისთვისაც საჭიროა, რომ „ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან (რომელიც ასახულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 1 დეკემბრის N 008282322 ექსპერტის დასკვნაში) გასაანგარიშებელი კოეფიციენტის (12.5-%) ოდენობით, რომელიც გაწერილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში, რომელიც წარმოდგენილია განსახილველად და დასამტკიცებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N72 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**, მან აღნიშნა, რომ რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მ/წლის 14 დეკემბრის N08-302234849 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმას დაემატოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ლანჩხუთში ჟორდანია ქუჩაზე მდებარე 18 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.51.396). აღნიშნული უძრავი ქონება გამოეყო 27.06.51.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითად ქონებას, ვინაიდან სამსახურის განმარტებით, დაკარგული აქვს თავისი ფუნქციური დანიშნულება და რეალურად და ფაქტობრივად ის არ გამოიყენება ძირითადი ქონების სტატუსით. სამსახურის მოსაზრებით, მართებულია შემდგომში განკარგვის მიზნით, ხსენებული ქონება აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N73 (22.12.2022)**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიის განვითარებისთვის (EV41TD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ**, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია აღნიშნული ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ: ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ქვემო ჩიბათში ვიზიტორთა ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა; ასევე, მდინარე ფიჩორზე არსებულ ტურისტულ ლოკაციაზე ღია ტიპის კაფეს მშენებლობა და ე/წ "ჭაობის" ნაგებობის შეძენა. პროექტის საერთო ღირებულებაა 480000 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N74 (22.12.2022)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მიერ წარმოდგენილი საკითხებიც ყოფილიყო განხილული. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საკრებულოს მომდევნო სხდომაზე გასცეს ამ საკითხებთან დაკავშირებით პასუხები. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არ არის სურვილების შესრულების დოკუმენტი, არამედ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები უნდა იყოს დეტალურად გათვლილი და დაზუსტებული, თუ რის ხარჯზე და როგორ უნდა განხორციელდეს ისინი და არ უნდა გამოხატავდეს მხოლოდ სურვილს.

ამის შემდეგ საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** დააყენა შემდეგი საკითხები: ხიდმაღალა-ხაჯალიას ცენტრალურ ავტომაგისტრალზე საქონლის გადასარევი გვირაბის მოხრეშვა-მოწესრიგება, რის თაობაზეც ემზარ გოგუაძის მიმართვა არ არის განხილული. ასევე, სუფსის რკინიგზის სადგურის ტერიტორიის გაწმენდა ჯართისგან, მიმდებარე სკვერის ეკალ-ბარდებისგან გაწმენდა და შემოღობვა. გარდა ამისა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება უნაგირას უბანზე და ხიდმაღალა-ტაბანათზე. ასევე, გრიგოლეთის მიმართულებით, მალთაყვასთან ე.წ. მშრალ ხიდამდე დანაგვიანებული ტერიტორიის გაწმენდა-მოწესრიგება. ამასთან, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის მაგნიტური ქვიშის კვლევასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს თანხა.

მოქალაქე **თამაზ ღლონტმა** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა და ასევე, გრძელდება სხვადასხვა სერიოზული პროექტები, მათ შორის გზის და წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება. ასევე, მოეწყო ძვირადღირებული გაბიონები, მაგრამ ძალიან ცუდი მდგომარეობაა დემოგრაფიული კუთხით, რადგან 180 კომლზე მეტი დაკეტილია. არადა, აკეთის თემი ერთ-ერთი უმდიდრესი ისტორიის მქონე კუთხეა გურიის მასშტაბით. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების ხელშეწყობის საკითხი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აკეთის თემის მოსახლეობამ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მიმართა პეტიციით „თემის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურისა და სპორტის მოქმედი წრეების დაფინანსების შესახებ“, რომელიც ამჟამად მშობელთა 100 %-იანი დაფინანსებით ფუნქციონირებს.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ესმის მოქალაქეების გულისტკივილი, მაგრამ აღნიშნულ სიტუაციაში გაუგებრობას აქვს ადგილი, რადგან სოფელს პედაგოგი ჰყავს ადგილზე მიწვეული, შესაბამისად, უხდიან გარკვეულ თანხას. ამ ეტაპზე სოფლებში სხვადასხვა წრეების დაფინანსების რესურსი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. თავის დროზე აკეთში ორი წლის განმავლობაში ფინანსდებოდა ხუსუნაიშვილების ფოლკლორული ბავშვთა გუნდი, საიდანაც გარკვეული პერიოდის შემდეგ პედაგოგი წამოვიდა, რადგან არ ყავდა ბავშვები. რის გაკეთებაც ამ ეტაპისთვის შეიძლება, არის ის, რომ ტრანსპორტის დანიშვნის შემდეგ ბავშვების ტრანსპორტირება გახდეს უფასო, რათა ისინი ჩაერთონ იმ წრეებში, რომლებიც ფუნქციონირებს ქალაქში. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვები გათავისუფლდნენ გადასახადისგან, ხოლო, დედ-მამიშვილებმა

ისარგებლონ გარკვეული შედეგებით.

მოქალაქემ **ქეთევან ღლონტმა** აღნიშნა, რომ სოფლებში წრეების დაფინანსება მუნიციპალიტეტის მიერ მართლაც რთულია. ამის შემდეგ მან ყურადღება გაამახვილა აკეთის კულტურის სახლის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ შენობას აუცილებლად ესაჭიროება რეაბილიტაცია, რადგან შენობის მე-2 სართულზე ჩამოსულია მე-3 სართულის ნანგრევები, რაც ძალიან საშიშ სიტუაციას ქმნის. თავის დროზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეკეთდა და კოსმეტიკური რემონტი ჩატარდა ორ ოთახს. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმასთან დაკავშირებით, რომ გამოინახოს გარკვეული ფინანსები და თუ ერთდროულად მთლიანი შენობის რეაბილიტაციის ჩატარება ვერ მოხერხდება, იმ ნანგრევების გატანა-დასუფთავება მაინც მოხდეს, რაც ჩამოსულია მე-2 სართულზე. კულტურის სახლში ტარდება როგორც არჩევნები, ასევე სხვადასხვა შეხვედრები და ღონისძიებები, ამიტომ საკითხი საჭიროებს დროულად რეაგირებას, რადგან შექმნილია ძალიან საშიში მდგომარეობა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ წელს შემოსული თანხის უმეტესი ნაწილი აკეთში გზის რეაბილიტაციისთვისაა გათვალისწინებული. სრულად მოწესრიგდება წყალმომარაგების სისტემა. ასევე, გაგურის ცენტრში იგეგმება ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. გარდა ამისა, დასრულდა გაზიფიცირების პროცესი. მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით მაქსიმალურად ცდილობენ მოგვარდეს საჭიროებო საკითხები. აქედან გამომდინარე, თუკი რაიმე რესურსი გამოჩნდა, აუცილებლად მიაქცევენ ყურადღებას და მოხდება შესაბამისი რეაგირება, რადგან შენობა მართლაც კარგია და აკეთელები შეძლებისდაგვარად უვლიან.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე








ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 დეკემბერი 2022 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:58	
2	ემზარ თევდორაძე	-	
3	ვერიკო კვირკველია	11:59	
4	გიორგი ჩახვაძე	11:50	
5	გიორგი ხელაძე	11:55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11:55	
7	ზაზა წულაძე	11:50	
8	კარლო კვიტაიშვილი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:50	
10	ია მოქია	11:50	
11	კახაბერ ასკურავა	-	
12	მაკა მშვიდლობაძე	11:55 60.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
14	კარლო წილოსანი	11:55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
16	ნინო მშვიდლობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე	-	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე	-	
20	გოჩა ჯანაშია	- 50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11:50	
22	რევაზ კვერენჩილაძე	11:50	
23	კახა თედორაძე	11:55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	1150	გ. მუხ
25	ირმა მგელაძე	—	
26	გივი ცინცაძე	—	
27	ჯუმბერ ზლაგიძე	1158	ჩ. მუხ